



#11, დეკემბერი, 2008

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
გილოცავთ დამდეგ
შობა-ახალ წელს



„გარიყულობიდან თანასწორობამდე“



3 დეკემბერს საერთაშორისო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დღეს აღნიშნავს. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის, კოალიციის „დამოუკიდებელი



ცხოვრებისათვის“ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ადგილობრივი ოფისის ინიციატივით, 4 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა შეხვედრა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. იგი ამავე დროს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შემაჯამებელ შეხვედრასაც წარმოადგენდა.



ლონისძიებას ესწრებოდნენ და მოხსენება წარმოადგინეს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველის ოფისთან არსებულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის, ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე შეჯამდა 2007-2008 წლებში ამ სფეროში განხორციელებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებები. ასევე წარმოდგენილი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციისადმი მიძღვნილი წიგნის „გარიყულობიდან თანასწორობამდე“ ქართული თარგმანი. გაიმართა დისკუსია აღნიშნული კონვენციის საქართველოში მიღებისა და



დანერგვის საჭირო ქმედებების შესახებ. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ყველაზე სრული დოკუმენტია და ამჟამად მას ხელი უკვე მოაწერა 137 ქვეყანამ, 41 ქვეყანამ მისი რატიფიცირება უკვე მოახდინა.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნებისმიერ საზოგადოებაში დღესაც რჩებიან ყველაზე მეტად იზოლირებულ ადამიანებად, მართალია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალმა მთელს მსოფლიოში უამრავი ადამიანის ცხოვრება შეცვალა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ სარგებლობენ ასეთივე სიკეთებით... ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში საზოგადოება მზარდად აცნობიერებს, რომ 650 მილიონი ადამიანის უფლებების უფლებდარღვევა აღარ არის დასაშვები, დღეს დადგა რეალური ნაბიჯების გადადგმის დრო... შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დისკრიმინაციის, გარიყვისა და მათ მიმართ არაკუმანური მოპყრობის ხანგრძლივ ისტორიაზე... კონვენცია უზრუნველყოფს ... ყველა უფლებითა და შესაძლებლობით სარგებლობას... მისი მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მსოფლიო საზოგადოების მხრიდან გაცნობიერებულ იქნას ყოველი ადამიანის უფლება მიეცეს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესახებლობა“.

ამონარიდი წიგნიდან „გარიყულობიდან თანასწორობამდე“

ამონარიდი წიგნიდან „გარიყულობიდან თანასწორობამდე“



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მცირე გრანტების პროგრამა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მომავალი წლის დასაწყისიდან გეგმავს, „სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის“ პროექტის ფარგლებში, მცირე გრანტების პროგრამის დაწყებას. გრანტები გაიცემა ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარებისთვის. აღნიშნული პროგრამის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა. პროცესის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გრანტის პოტენციურ მიმღებთა ჩართვა საგრანტო პროცესის დახვეწაში. მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები და ხედვები თქვენი ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარების საჭიროებების შესახებ (მაგალითად: მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება; სხვა(გთხოვთ დააკონკრეტოთ)).

ინიციატივები მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე:
ia@civilin.org

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

გამოცემები



ალმანახი ვიზრუნოთ ერთმანეთზე

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, გერმანული ფონდის EED-ის ფინანსური მხარდაჭერით მესამე წელია ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესება. საქართველოს საინფორმაციო სივრცის მონიტორინგმა, ზრუნვაზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოციუმის კვლევებმა ნათლად დაგვანახა, რომ სწორი და ეფექტური სოციალური პოლიტიკის ფორმირებისთვის აუცილებელია საზოგადოების მხარდაჭერა, რომელიც ინფორმაციის მიწოდების გზითაა შესაძლებელი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ალმანახის გამოცემა, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოვა. მასში გაეცნობით სოციალური სფეროს სიახლეებს, ანალიტიკას, იდეებს და კონცეფციებს, ინფორმაციას ამ სფეროში მოღვაწე საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, მათი საქმიანობის საინფორმაციო მხარდაჭერას, რაც დაეხმარება ამ ორგანიზაციებს გაძლიერებასა და ეფექტურობის გაზრდაში... ჩაერთეთ ალმანახის მუშაობაში, მოგვაწოდეთ თქვენი ინფორმაციები და იდეები, ერთად ვიზრუნოთ ალმანახის განვითარებაზე და, რა თქმა უნდა... ერთმანეთზე

კონკურსი სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის

26 დეკემბერს სოციალურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტთა კონკურსში გამარჯვებულები დასახელდებიან. „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – ასე ჰქვია კონკურსს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალური თემების პოპულარიზაციის მიზნით დააფუძნა და უკვე მეორედ ტარდება. წელს კონკურსში 50-მდე ჟურნალისტმა წარმოადგინა ნამუშევარი. სწორედ მათ შორის საუკეთესო სტატიის, ფოტოს, რადიო და ტელე სიუჟეტების ავტორებს გამოავლენს ჟიური, რომელიც თავის გადაწყვეტილებას 26 დეკემბერს გაახმაურებს.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო –1000 ლარის ოდენობით.

წლეუანდელი კონკურსის პარტნიორია სადაზღვევო კომპანია აი-სი ჯგუფი, რომელმაც დააწესა სპეციალური პრიზი (ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი) ოთხივე ნომინაციაში.



კონცეფცია

საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის“ შესახებ. კონცეფციის მიზანია შშმ პირებისთვის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვის მექანიზმების შემუშავება. დოკუმენტი განსაზღვრავს ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს და სამოქმედო პრინციპებს. კონცეფცია გამოყოფს ხუთ პრიორიტეტულ მიმართულებას:

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა; ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა; განათლება; დასაქმება და თვითრეალიზაცია. დადგენილების თანახმად საქართველოს მთავრობამ დოკუმენტში ასახული პრინციპების გათვალისწინებით, 2009 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეიმუშაოს და პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო სამოქმედო სტრატეგიული გეგმა, ხოლო ამ გეგმიდან გამომდინარე 2009 წლის 1 ნოემბრამდე მოახდინოს საკანონმდებლო ბაზის რევიზია და სათანადო ინიციატივების წარმოდგენა.

დადგენილების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ორგანიზაცია „Save the Children“ და კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პროექტის „თანაბარი შესაძლებლობების განვითარება შშმ პირებისთვის“. პროგრამა ხორციელდება აშშ-ს განვითარების სააგენტოს მიერ.



„როდის მოდიხარ აქეთ?“

„... როდის მოდიხარ აქეთ? თუ ჩამოხვალ ფილმში გადავიღებ“; ასეთ პირდება სხვებს ბექა სიუჟეტში, რომელიც მასზე გადაიღეს... 2007 წლის კონკურსის – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – საუკეთესო სიუჟეტის ავტორებმა – ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაცია

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ არსებულმა ლიდერთა სკოლის მოსწავლეებმა ახალი სიუჟეტი ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვებს მიუძღვნეს, უფრო ზუსტად კი მათი პრობლემები წამოიწიეს. საქართველოში ასეთი 200 ბავშვია, მათ შორის არის ბექა. ბავშვებს მედიკამენტების გარდა სპეციალური – უცილო კვების რაციონი სჭირდებათ, რომელიც სიძვირით მედიკამენტებს არ ჩამოუვარდება. სწორედ ამ საკითხზეა სიუჟეტში ყურადღება გამახვილებული. როგორც ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირიდან გვწერენ, სიუჟეტის მომზადების შემდგომ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ საკითხით დაინტერესდა და მზად არის ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების კვების პროგრამა დააფინანსოს. ჩოხატაურში სულ ასეთი ოთხი ბავშვია.

P.S. შეგახსენებთ, რომ 2007 წლის კონკურსის – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – საუკეთესო ტელესიუჟეტის ავტორებად სწორედ ლიდერთა სკოლის მოსწავლეები გამოცხადდნენ სიუჟეტით „მარტო მოვდივარ“, რომელიც სოფელ ლიხაურში მცხოვრები სოციალურად გაჭირვებული ერთ-ერთი ოჯახის შესახებ გვიამბობდა. „ლიდერებმა“ სიუჟეტი აჩვენეს ყველას, სადაც კი ხელი მიუწვდათ და შედეგად არ დააყოვნა – სიუჟეტისა და შედეგების გაცნობა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

საკონკურსო განაცხადი

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობი პროექტის“ ფარგლებში ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ინფორმაცია იხილეთ
გაზეთი „24 საათი“, 1 დეკემბერი, 2008 წლის
ან
<http://www.civilin.org/welfare>

1.1. აღნიშნულ სატენდერო წინადადებაში შევიდა დამატებები და ცვლილებები

ინფორმაცია იხილეთ
გაზეთი „24 საათი“, 15 დეკემბერი, 2008 წლის
ან
<http://www.civilin.org/welfare>



ფსიქიკური ჯანმრთელობა და საჯარო ფინანსები



23 დეკემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა კონფერენცია – „ფსიქიკური ჯანმრთელობა და საჯარო ფინანსები“, რომლის ორგანიზატორი იყო ფონდი „გლობალური ინიციატივა

ფსიქიატრიაში – საქართველო“. კონფერენციას ესწრებოდნენ პროფესიული საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. კონფერენციაზე წარმოადგინეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სამედიცინო-სოციალურ საჭიროებათა კვლევის შედეგები, ფსიქიატრიული სერვისების სახელმწიფო პროგრამა და სახელმწიფო დაფინანსების დინამიკა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2008 წლის პროგრამების მიმოხილვა. ნაჩვენები იყო ფილმი „დაინახე ჩემში ადამიანი“, რომელიც საქართველოში ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მდგომარეობას ასახავს.

www.civilin.org/welfare

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების, კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

•
თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.
ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org
ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
•
ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ